ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5737805

ნომერი: AR1862402

თარიღი : 15.11.2021

გაცემის თარიღი : 22.12.2021

გაცნობის თარიღი : 22.12.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 2 , (ნაკვ. 002/037);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლელა გურგენიძე პ/ნ 01025015894
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 27, ბინა 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01... ვინაიდან ხდება რკინიგზის სადგურის მშენებლობისათვის როგორც მრავალფუნქციური კომპლექსი/ შენობის ერთერთი შემადგენელი სავაჭრო ცენტრთან ერთად, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით აღნიშნული საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას რისთვისაც საჭიროა პარალელურად მიმართოთ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს, ოფიციალურ პორტალზე Urban.tbilisi.gov.ge-ზე.

02... დაკორექტირდეს შენობის განთავსების სქემა. აუცილებელია შენობა მოეწყოს საკუთარ საკადასტრო საზღვრებში, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოდგენილ იქნას რკინიგზის თანხმობა.
ასევე გაითვალისწინეთშემდეგი: გარდა საკადასტრო საზღვრებისა დატანილ იქნას ხეებამდე მიბმის მანძილების დატანით
იმ შემთხვევაში თუ ხეების მოჭრა ან გადარგვა იგეგმება წარმოდგენილ იქნას დენდროლოგიური საექსპერტო დასკვნა. (დასკვნის შესაბამისად განთავსების სქემაზე დატანილ იქნას ხე- ნარგავების ინვენტარიზაცია) მოსაჭრელი ან გადასარგველი ხის სახეობის და გარშემოწერილობის შესახებ, აღნიშნულის წარმოდგენის შემდგომ გადაიგზავნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.